სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080122700077218

№ 2896

12 / დეკემბერი / 2018 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 7 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის SMP180002547 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, 2018 წლის 6 დეკემბერს შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა სამშენებლო მასალების შესყიდვა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების აღსადგენად (CPV44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები; CPV44112400 - სახურავი; CPV44191000 - სხვადასხვაგვარი სამშენებლო ხის მასალა) გამარტივებული შესყიდვა, ჯამური ღირებულებით - 245100 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2018 წლის 30 ნოემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენებმა, კერძოდ ძლიერმა ქარმა და წვიმამ, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავებს. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისიისა და სპეციალისტების მიერ შესწავლილი იქნა ვითარება და განისაზღვრა მიყენებული ზარალი. აუცილებელი გახდა საცხოვრებელი სახლების სახურავების აღსადგენად დაუყოვნებლივ განხორციელებულიყო სხვადასხვა სახის სამშენებლო ხის მასალისა და თუნუქის სახურავის შესყიდვა. შესყიდვის დაყოვნების შემთხვევაში, ამინდის გაუარესება კიდევ უფრო დააზიანებდა მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებსა და ქონებას და გამოიწვევდა სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის ზრდას, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა საზოგადოებრივ ინტერესებს.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას, რამდენადაც, როგორც მომართვაშია აღწერილი, 2018 წლის 30 ნოემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენებმა, კერძოდ ძლიერმა ქარმა და წვიმამ, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავებს. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისიისა და სპეციალისტების მიერ შესწავლილი იქნა ვითარება და განისაზღვრა მიყენებული ზარალი. აუცილებელი გახდა საცხოვრებელი სახლების სახურავების აღსადგენად დაუყოვნებლივ განხორციელებულიყო სხვადასხვა სახის სამშენებლო ხის მასალისა და თუნუქის სახურავის შესყიდვა. შესყიდვის დაყოვნების შემთხვევაში, ამინდის გაუარესება კიდევ უფრო დააზიანებდა მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებსა და ქონებას და გამოიწვევდა სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის ზრდას, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა საზოგადოებრივ ინტერესებს.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე

თავმჯდომარე

...cat8-tomcat8-tmp/a50288eb-9c6d-47c5-a089-29bb4667334f.html